



SOVLAB

ძვირფასო მეგობრებო!

დღევანდელი ნათელი დღე ჩვენი საერთო სიხარულია, რამეთუ ქუთაისის უნივერსიტეტი აღმოცენდა გელათის აკადემიის ტრადიციებზე, აკადემიისა, რომლის მესაძირკვლე — დავით აღმაშენებელი — ოსი ხალხის გულთადი მეგობარი იყო. მრავალი მაგალითია იმისა, რომ ქართველი და ოსი ხალხების სახელმწიფო მოღვაწეები ურთიერთს ეხმარებოდნენ, უნათესავდებოდნენ და დიდ სახელმწიფოებრივ საქმეებსაც სწყვეტდნენ.

თქვენთან ჩამოვედით მზიანი გულით, რადგან როგორც ისტორია გვასწავლის და ახლანდელი ვითარებაც ადასტურებს, ჩვენ ორ ერს არა აქვს რა სხვა გზა, გარდა თანადგომისა, ჭირსა და ლხინში ერთსულოვნებისა, ურთიერთბატვისცემისა.

ჩვენი საერთო სამშობლოს დედა საქართველოს ერთ-ერთმა კულტურულმა ცენტრმა ქუთაისმა და ამ ქალაქში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსულმა ადამიანებმა დიდი და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ორი მოძვე ხალხის, ქართველებისა და ოსების, კულტურულ-ლიტერატურული კავშირების გაფართოებაში.

ტიციან ტაბიძე, რომლის შესვლა ეროვნულ მწერლობაში ქუთაისთანაა დაკავშირებული, ნარკვევში „ერთი კვირა ოსეთში“ ბატვისცემით წერს ოსური მხატვრული სიტყვის ოსტატებზე: ვასილ ბეგიზოვზე, ყაზბეგ ყოროვევზე, კოსტა ფარნიევზე. ამავე ნაწარმოებში მან წამოაყენა წინადადება ქართულიდან ოსურად და ოსურიდან ქართულად მთარგმნელობითი საქმიანობის გაძლიერების შესახებ. ტიციან ტაბიძის მოსაზრება ხორც-შესხმულია. ოსი მკითხველი მშობლიურ ენაზე სწავლობს შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის და სხვა კლასიკოსთა შედეგებს.

ქუთაისში შობილ „ცისფერყანწელთა“ მეორე ლიდერმა — ვალერიან გაფრინდაშვილმა სიყვარულით თარგმნა ოსური ეროვნული მხატვრული ლიტერატურის ფუძემდებლის ათეულობით ლექსი, ხოლო თავისი გულთბილი დამოკიდებულება „ირონ ფანდირის“ ავტორისადმი გამოხატა პოეტურ ნაწარმოებში „კოსტა ჭეთაგუროვის“. ეს ლექსი თითოეული ოსის გულს ესაღმუნება.

ხალხთა, ლიტერატურათა ტრადიციული, სასიკეთო კავშირები გააძლიერა ქუთაისის სამასწავლებლო სემინარიის კურსდამთავრებულმა — ბაბუ ზანგიევმა.

აღმანახ „განთიადში“ დაბეჭდილი გამრკველი „ოსური ეროვნული გენია“ თქვენს მეზობლად, სამტრედიის მცხოვრებმა ოსმა მწერალმა მიხეილ ბულკათიმ კვლავ ცხადყო ორი ხალხის სულიერი სიმტკიცე და სიძლიერე. ამავე მიზანს ემსახურება ქუთაისის პერიოდიკაში გამოქვეყნებული მისივე წერილი, მიძღვნილი ნაფი ჯუსოთისადმი.

გვეამაყება, რომ თქვენი უნივერსიტეტი აკაკი წერეთლის სახელობისაა. საქართველოს ბუღბუღი კი კოსტა ჭეთაგუროვის სულიერი მეგობარი იყო. ლოგიკურაა, რომ წერეთლის სტრიქონები:

„ჩემი ხატის სამშობლო,

სახატე — მთელი ქვეყანა“ —

საოცრად ჰგავს ოსი ხალხის დილა შეილის კოსტას ნათ ქვამს:

„ქვეყანა — ტაძრად, სიყვარული

კი — სალოცავად

მაქვს და მსოფლიო სამშობლოა,

სამშობლო ჩემი“.

ოსური ხალხური ანდაზა გვასწავლის: „წინაპართა მადლი სამარეში არ ჩადისო“. ეს მადლი კი ნამდვილად გრძელდება. ნათქვამის ნათელყოფაა ჩვენი ეროვნული კულტურის უანგარო მოღვაწის ალექსანდრე თიბილოვის წერალები აკაკი წერეთელსა და ქართული ლიტერატურის სხვა წარმომადგენლებზე.

და გვწამს: მოკლე ხანში სრულად საქართველოს კიდევ შეემატება ერთი უნივერსიტეტი, ჩვენი ისტიტუტის ბაზაზე.

ერთხელ კიდევ მოგესალმებით, ძვირფასო ძმებო და წინასწარ გეპატიუებით სამხრეთ ოსეთის ალექსანდრე თიბილოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საზეიმო გახსნაზე.

ა. თიბილოვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი *ქ. ჩიჩიკოვი* (ბროფ. ლ. ა. ჩიბიროვი).

20.1X90

